

დამატებითი სამედიცინო მომსახურება ვეტერანთათვის

სსიპ ვეტერანების საქმეთა სახელმწიფო სამსახურში ვეტერანებისათვის მოქმედებს დამატებითი სამედიცინო მომსახურების პროგრამა, მოიცავს იმ სერვისების მიწოდებას, რასაც არ ფარავს სახელმწიფო და მუნიციპალური ჯანდაცვის პროგრამები. პროგრამა ასევე ითვალისწინებს მედიკამენტებით დაფინანსების უზრუნველყოფის შესაძლებლობას.

მომსახურებით მოსარგებლე პირები

სამედიცინო მომსახურების მიმღები ბენეფიციარები არიან სსიპ - ვეტერანების საქმეთა სახელმწიფო სამსახურის (შემდგომში - სამსახური) ვეტერანთა აღრიცხვის ელექტრონულ მონაცემთა ბაზაში რეგისტრირებული შემდეგი პირები:

- ა) შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ვეტერანები;
- ბ) სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში რეგისტრირებული ვეტერანები;
- გ) საპენსიო ასაკის ვეტერანები;
- დ) მრავალშვილიანი (სამი და მეტი შვილი) ვეტერანები.

მომსახურების მისაღებად წარსადგენი დოკუმენტაცია

ვეტერანმა ან მისმა კანონიერმა წარმომადგენელმა/ოჯახის წევრმა სამედიცინო მომსახურების დაფინანსების მისაღებად უნდა მიმართოს სამსახურს წერილობითი განცხადებით, რომელსაც თან უნდა ერთვოდეს:

- ა) პირის პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის (მოქალაქის პირადობის დამადასტურებელი მოწმობა/დაბადების მოწმობა/პასპორტი ან იძულებით გადაადგილებული პირის მოწმობა) ასლი;
- ბ) სამედიცინო მომსახურების მიმწოდებლის მიერ გაცემული ხარჯის დამადასტურებელი დოკუმენტი (კალკულაცია);
- გ) პირის ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ ცნობა (ფორმა №IV-100/ა), რომელიც შექმნილი უნდა იყოს სამსახურში განცხადების რეგისტრაციამდე არაუმეტეს 3 თვით ადრე;
- დ) მედიკამენტის დაფინანსების მოთხოვნის შემთხვევაში, დანიშნულების ან/და რეცეპტის ასლი, რომელიც შექმნილი უნდა იყოს სამსახურში განცხადების რეგისტრაციამდე არაუმეტეს 1 თვით ადრე;
- ე) შესაბამისი სტატუსის ქონის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი;
- ვ) დასაფინანსებელ სამედიცინო მომსახურებაზე მუნიციპალიტეტის, სახელმწიფო პროგრამების ან/და დაზღვევის ფარგლებში გაცემული მიმართვის/დაფინანსების დამადასტურებელი დოკუმენტი ან ქსეროასლი.

შეზღუდვები მომსახურების მიღებაზე

მოთხოვნა არ და კმაყოფილება და განმცხადებელს ეცნობება უარყოფითი პასუხი, თუ:

- ა) განცხადების შესწავლისას დადგინდა, რომ პირი არ აკმაყოფილებს პროგრამით განსაზღვრულ მოსარგებლის კრიტერიუმებს;

- ბ) განცხადებით წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით დადგინდა, რომ პირს უკვე დაუკმაყოფილდა მოთხოვნა;
- გ) პირი ითხოვს გამოყოფილი თანხის გაზრდას იმ მოთხოვნაზე, რომელზეც კომისიის მიერ უკვე იქნა მიღებული გადაწყვეტილება;
- დ) განცხადების შესწავლის ან საგარანტიო წერილის მომზადების პროცესში სამსახურისთვის ცნობილი გახდა, რომ პირი გარდაცვლილია;
- ე) განცხადების შესწავლისას დადგინდა, რომ პირის ბოლო დაფინანსებიდან გასული პერიოდი არ აღემატება 6 თვეს;
- ვ) თუ განცხადების შესწავლისას დადგინდა, რომ პირი ითხოვს დავალიანების/ვალის დაფარვისათვის დაფინანსებას.
- ზ) განმცხადებელს ეცნობება უარყოფითი პასუხი, ასევე, იმ შემთხვევებში, თუ განცხადების შესწავლისას დადგინდა, რომ პირი ითხოვს:
- ზ.ა) საზღვარგარეთ მკურნალობის დაფინანსებას;
 - ზ.ბ) სამედიცინო ჩვენებისა და ექიმის დანიშნულების გარეშე მკურნალობის, თვითმკურნალობის დაფინანსებას;
 - ზ.გ) სანატორიულ-კურორტული და ბალნეოლოგიური მკურნალობის დაფინანსებას;
 - ზ.დ) ესთეტიკური ქირურგიის, კოსმეტიკური მიზნით მკურნალობის დაფინანსებას, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც არსებობს სამედიცინო ჩვენება და ორგანოების ფუნქციური ცვლილებების წარმოშობის რისკი;
 - ზ.ე) სტომატოლოგიური მომსახურებისა და დენტალური იმპლანტაციის დაფინანსებას;
 - ზ.ვ) შინმოვლის მომსახურების დაფინანსებას;
 - ზ.ზ) სამედიცინო აღჭურვილობას;
 - ზ.თ) რეპროდუქციულ ჯანმრთელობასთან დაკავშირებული მომსახურების მეორედ დაფინანსების შემთხვევაში.

სამედიცინო მომსახურება დაფინანსების მოცულობა განისაზღვრება არაუმეტეს 1500 ლარის ოდენობით, ხოლო მედიკამენტების დაფინანსების შემთხვევაში - არაუმეტეს 500 ლარის ოდენობით.

გადაწყვეტილების მიღებაზე უფლებამოსილი ორგანო

მომსახურების დაფინანსების თაობაზე გადაწყვეტილებას იღებს სსიპ ვეტერანების საქმეთა სახელმწიფო სამსახურის დირექტორის ბრძანებით შექმნილი კომისია.

დამატებითი ინფორმაციისთვის იხილეთ:

სსიპ ვეტერანების საქმეთა სახელმწიფო სამსახურის 2016 წლის 22 მარტის №80 ბრძანება